# სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | ხუთშაბათი, 20 ივნისი 1996 № 54 (279) | ფასი 30 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# საკი-მორტალე: ევროპა უიტალიოდ

## საქართველოს ყოფილმა მეტოქემ მომავალს აჯობა

**გერმანია 0:0 იტალია**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | კეპკე | 1 | პერუცი |
| 6 | ზამერი | 5 | კოსტაკურტა |
| 5 | ჰელმერი | 4 | კარბონი |
| 4 | ფროინდი | 8 | მუსი |
| 19 | შტრუნცი | 3 | მალდინი |
| 21 | აილტსი | 16 | დი მატეო |
| 17 | ციგე | 10 | ალბერტინი |
| 7 | მიოლერი | 17 | ფუზერი |
| 10 | ჰესლერი | 7 | დონადონი |
| 9 | ბობიჩი | 18 | კაზირაგი |
| 18 | კლინსმანი | 21 | ძოლა |

შეცვლა: დი მატეო — 19 კიეზა (67), კარბონი — 9 ტორიჩელი (78), ფუზერი — 15 დი ლივიო (83), მიოლერი — 3 ბოდე (89)

გაფრთხილება: კაზირაგი, შტრუნცი

გაძევება: შტრუნცი

მე-9 წუთზე ძოლამ ვერ გამოიყენა პენალტი.

მსაჯი: გ. გუტალსი (ბელგია)

19 ივნისი. „ოლდ ტრეფორდი"

**ჩეხეთი 3:3 რუსეთი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | კოუბა | 12 | ჩერჩესოვი |
| 3 | სუხოპარეკი | 2 | თეთრაძე |
| 2 | ლატალი | 3 | ნიკიფოროვი |
| 15 | ჰორნიაკი | 18 | იანოვსკი |
| 12 | კუბიკი | 20 | გორლუკოვიჩი |
| 4 | ნედვედი | 6 | კარპინი |
| 14 | ბერგერი | 4 | ციმბალარი |
| 13 | ბეიბლი | 21 | ხოხლოვი |
| 7 | ნემეცი | 19 | რადიმოვი |
| 8 | პობორსკი | 16 | სიმუტენკოვი |
| 9 | კუკა | 9 | კოლივანოვი |

შეცვლა: კოლივანოვი — 17 ბესჩასტნიხი (46), სიმუტენკოვი — 10 მოსტოვოი (46), ციმბალარი — 15 შალიმოვი (67), კუკა — 17 შმიცერი (69), ბერგერი — 6 ნემეჩეკი (90)

გაფრთხილება: ნიკიფოროვი, რადიმოვი, ციმბალარი, ნედვედი, იანოვსკი, ნემეცი

1:0 სუხოპარეკი (6), 2:0 კუკა (19), 2:1 მოსტოვოი (49), 2:2 თეთრაძე (53), 2:3 ბესჩასტნიხი (86), 3:3 შმიცერი (89)

მსაჯი: ა. ფრისკი (შვედეთი)

19 ივნისი. „ენფილდ როუდი"

იტალიამ ჩეხეთთან წაგებით ისე გაიხადა საქმე, რომ ამ თამაშმა იმაზე მეტი მნიშვნელობა შეიძინა ვიდრე სხვა შემთხვევაში ექნებოდა. აქ არ იყო მხოლოდ ორი საფეხბურთო კონცეფციის დაპირისპირება. ეს იყო ბრძოლა, რომელშიც ზავი არ არსებობდა. მართალია ეს შეხვედრა სწორედ ფრედ დამთავრდა, მაგრამ ეს ფრე იტალიისთვის წაგებას უდრიდა, რადგან ჩეხებმაც ფრე გაახერხეს რუსებთან და ურთიერთშეხვედრებში მოპოვებული გამარჯვების წყალობით იტალია შინ გაისტუმრეს. გერმანია — იტალიის თამაშს პირველთა მხრიდან დიდი წინათქმა უძღოდა.

სამშაბათს ფოგტსმა განაცხადა: ჩვენ გვინდა მეოთხედფინალში გასვლა და კარგი ფეხბურთის თამაში, მაგრამ კაცმა არ იცის ფეხბურთში ბურთი რას იზამს და ვის კარში შევარდება. არც მას გამოვრიცხავ, რომ ხუთშაბათს შინ გაფრენა მოგვიწევს.

კლინსმანი უფრო თავდაჯერებული ამბობდა: გვინდა მოვიგოთ და ჯგუფური შეჯიბრება 9 ქულით დავასრულოთ. სამწუხარო იქნება, თუ იტალიელებს შინისკენ გამგზავრება მოუწევთ, მაგრამ იგივე შესაძლოა ჩვენც მოგვივიდეს.

ბერტი ფოგტსი მეტოქეს კომპლიმენტს ესროდა. იტალიის გავარდნა სირცხვილი იქნება, რადგან მე ძალიან მომწონს როგორ თამაშობენ ისინი. საკი დიდი მწვრთნელია, იგი ამ ჩემპიონატის ერთ-ერთი უდიდესი ტაქტიკოსია.

კლინსმანი ისევ რეალური სურათის დახატვას ცდილობდა. გერმანია — იტალია კლასიკური შეხვედრაა. იტალია, მართალია, კედელთანაა მიყუდებული, მაგრამ ამ გუნდის შეუფასებლობა შეუძლებელია. ჩვენ არაფრისდიდებით არ უნდა მოვეშვათ და მსუბუქად ამ თამაშს არ უნდა შევხედოთ.

თამაშის წინ არც საკი გახლდათ უბრად. გავარდნის ღირსები არ ვართ. ჩვენ უმაღლესი დონის ფეხბურთი ვითამაშეთ, მხოლოდ გერმანიასთან მოგების იმედად ყოფნა არას გვარგებს, დარწმუნებულები უნდა გავიდეთ მოედანზე.

მალდინი, რომელსაც ამ დღეებში ვაჟი შეეძინა ყოფნა-არყოფნის საკითხს უტრიალებს. გერმანელები იტალიის აქედანვე მოშორების შანსს არ გაუშვებენ ხელიდან. ძლიერ დიდი ზეწოლის ქვეშ ვართ.

გერმანია — იტალიის მატჩზე ნაკლებ ინტერესს არც ჩეხეთ — რუსეთის შეხვედრა იწვევდა. ამ თამაშსაც ერთობ ხმაური-ანი პრელუდია ჰქონდა და ეს არცაა გასაკვირი. ჩეხები მეოთხედფინალში გასვლისთვის ილესდნენ კბილებს, რუსები კი საკუთარ ტყავს — ჯერ კიდევ ბოლომდე შეულახავ პრესტიჟს უფრთხილდებოდნენ. მართალია, ჩეხეთის რესპუბლიკის ნაკრები რუსთათვის კამერუნი არ გამოდგა, მაგრამ რუსებისგან ასეთ სიურპრიზსაც ბევრი არ მოელოდა. ამას ის გვათქმევინებს, რომ მათ ნაკრებში დიდი არეულობა იყო, რასაც რომანცევის სიტყვებიც ცხადყოფს: სანამ მწვრთნელი ვარ, კირიაკოვს არ ვათამაშებ, 18-ში ბაზიდანაც გავაგდე. ეს იმიტომ, რომ გუნდში მორალურ კლიმატს აფუჭებდა. დეტალებს არ ვიტყვი, მაგრამ ისეთი რამ ჩაიდინა, გუნდზე ცუდად რომ იმოქმედა.

ამის თაობაზე გუნდის კაპიტნის, ონოპკოს აზრი საკმაოდ ბუნდოვანი იყო: ჯერაც ვერ გავრკვეულვარ მართლია თუ არა მწვრთნელი, კირიაკოვი რომ გააგდო. ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა რომანცევი მოთამაშეს აგდებს. პირველი სალენკო იყო.

რომანცევი თავისი შეცდომების გამართლებას ცდილობდა: ძალიან კარგი ფეხბურთელები მყავს, რუსეთში ამჟამად ამაზე კარგი არავინაა, მაგრამ მორალურად ვერ არიან სათანადო დონეზე, მერჩივნა, ნაკლებად ნიჭიერნი, მაგრამ უფრო მტკიცე ხასიათის მოთამაშეები მყოლოდა. კარპინმა და კანჩელსკისმა თავიანთ ნიჭთან შედარებით ცუდად ითამაშეს.

მიუხედავად ამისა, ჩეხები თუმცა მშვიდნი, მაგრამ ერთობ გაფაციცებულნი ჩანდნენ. თამაშის წინა დღეს მათი მწვრთნელი დუშან უჰრინი ამბობდა: ჩვენ აგრესიულად ვეთამაშებით რუსებს, რადგან, თუ მათ თავდამსხმელებს საშუალება მიეცი, აუცილებლად გაგიტანენ.

ვინაიდან ჩვენ მანჩესტერში გახლდით, მეტი ყურადღებით გერმანიისა და იტალიის ორთაბრძოლას ვადევნებდით თვალს, მაგრამ შეუძლებელი გახლდათ პრეს-ცენტრში დადგმული მონიტორისთვისაც არ გაგვქცეოდა თვალი, რადგან იქ ჩეხეთი — რუსეთის პირდაპირ რეპორტაჟს აჩვენებდნენ. იმ თამაშისას, რომელშიც მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით ვითარდებოდა.

ორივე თამაში ზუსტად ერთ დროს დაიწყო, რადგან ინტერესი ორივეს მიმართ თანაბარი იყო. თანაც, „ოლდ ტრეფორდის" პრეს-ცენტრი იმის საშუალებას გვაძლევდა, ორივესთვის პარალელურად გვედევნებინა თვალი, ეს შანსი ხელიდან არც გავუშვია. პირველად ლივერპულში ახმაურდა სტადიონი. მე-6 წუთზე პობორსკი კუთხურს აწვდის და სუხოპარეკი თავით ანგარიშს ხსნის.

წინ ჩეხეთია!

3 წუთში იტალიას ეძლევა გერმანიასთან დაწინაურების და ჩეხეთთან გათანაბრების შანსი. კეპკე ფეხებში უვარდება კაზირაგის და მერე ძოლას მიერ დარტყმულ პენალტს იღებს.

წინ ისევ ჩეხეთია!

4 წუთში იტალიას კვლავ ეძლევა თავის გამოჩენის შანსი, მაგრამ არაფერი გამოსდის, გარდა იმისა, რომ შტრუნცი გაფრთხილებას იმსახურებს. ეგ კი არა, მე-14 წუთზე იტალია ბედად გადარჩება, როცა კლინსმანი თავით უგდებს ბობიჩს, მაგრამ კუთხური მასსა და მცველს შორის გაიბნევა.

5 წუთში ჩეხეთს მეორე გოლი გააქვს. მოედნის თავისი ნახევრიდან ნემეცი შესანიშნავ გრძელ პასს აწვდის კუკას, რომელიც მაღალ ნახტომში თავით ჩერჩესოვის კარში ათავსებს ბურთს.

იტალია კვლავ მდევრის როლშია!

22-ე წუთზე ფუზერი კარში ურტყამს, მაგრამ საჯარიმოში ჩაწოდება გამოსდის და რაკი იქ თანაგუნდელთაგან არავინაა, ანგარიში ისევ მშრალი რჩება.

3 წუთში კეპკე დონადონის დარტყმულს იგერიებს. 28-ე წუთზე კი კლინსმანი აცილებს მიოლერის ჩაწოდებას. 34-ე წუთზე დონადონი — კეპკეს დუელი კვლავ ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მთავრდება.

4 წუთში ჰორნიაკის დარტყმა რუსთა კარის ხარიხას აზანზარებს. თამაშის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე კი პობორსკი არტყამს ხარიხას.

45-ე წუთზე კეპკე ფუზერის დარტყმას იგერიებს, ლივერპულში კი ბერგერი ძელის სიმტკიცესაც ამოწმებს.

პირველ ტაიმში იტალია გოლს არ უშვებს, მაგრამ, რადგან ვერ გააქვს, ისევ ცუდ დღეშია. ჩეხები ორი ბურთით არიან წინ და თავი უკვე მეოთხედფინალში ჰგონიათ.



**C ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 7 |
| ჩეხეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| იტალია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| რუსეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:8 | 1 |

**D ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| პორტუგალია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| დანია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| თურქეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |

## კვირა. 23 ივნისი. მეოთხედფინალი
## მანჩესტერი. გერმანია — ხორვატია
## ბირმინგემი. პორტუგალია — ჩეხეთი

ზურაბ ფოცხვერია,
დავით კაკაბაძე
მანჩესტერიდან

ასეცაა. წინ ისევ ჩეხეთია!

აქ, მანჩესტერში ბერტი ფოგტსიცა და საკიც ცვლილებებისგან თავს იკავებენ. განადგურებული რუსების მწვრთენლი ოლეგ რომანცევი კი ერთბაშად ორ შეცვლას აკეთებს. კოლივანოვისა და სიმუტენკოვის ნაცვლად მინდორზე მოსტოვოი და ბესჩასტნიხი შეჰყავს. როგორ ამართლებს?.

49-ე წუთზე მოსტოვოის თავით გოლი გააქვს.

იტალია კი ისევ ერთ ადგილს ტკეპნის!

52-ე წუთზე მიოლერი შორიდან აცილებს ჯარიმას აპენინელები გოლს გადარჩნენ და ერთ წუთში უშანსონი აღარ არიან. თეთრაძე შესანიშნავ რეიდს ახორციელებს, რადიმოვთან ორგზის კედელს გაითამაშებს და თანაგუნდელის მოცელვისთვის პენალტის დანიშვნას აღარ ელოდება, ისე ათანაბრებს ანგარიშს.

ურთიერთშეხვედრებში მოგების წყალობით წინ ისევ ჩეხეთია, მაგრამ შანსი იტალიასაც უჩნდება!

მითუმეტეს, რომ 63-ე წუთზე გი გუტალსი შტრუნცს მეორე ყვითელს უჩვენებს და მინდორს ატოვებინებს.

რაკი გერმანია გაძევებას მაინცდამაინც არ იმჩნევს, საკი შეცვლებს მიმართავს. 67-ზე კიეზა გამოჰყავს, 78-ზე კი ტორიჩელი. 83-ე წუთზე მესამე შეცვლასაც იყენებს — ფუზერს დი ლივიოს ამჯობინებს. მანჩესტერში ანგარიში მაინც არ იცვლება.

თამაშის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე კი ბესჩასტნიხს მესამე გოლი გააქვს. რუსეთი იგებს, ჩეხეთი აგებს.

წინ იტალიაა!

ფინიშამდე ბევრი აღარ რჩება. იტალია დიდი მონდომებით უტევს, მაგრამ 10-კაციან გერმანიასთანაც კი ვერაფერი გასდის.

წინ მაინც იტალიაა!

ფინალურ სასტვენამდე წუთიღა რჩება. გერმანიას დრო გაჰყავს. მიოლერს ბოდეთი ცვლის და დაცვას აძლიერებს. ასეც რომ მორჩეს რა იქნება? მეოთხედფინალში გერმანია და იტალია გავლენ.

... მაგრამ ასე არ ფიქრობს შმიცერი — 89-ე წუთზე კუბიკის პასს შესანიშნავად იყენებს და ანგარიშს ათანაბრებს.

წინ კვლავ ჩეხეთია!

დარჩენილ დროში აღარაფერი იცვლება.

მეოთხედფინალში ჩეხეთი გადის!

იტალია ქვეჯგუფში რჩება და სამშობლოს უბრუნდება!

იტალია შოკშია!

მატჩის შემდგომ პრეს-კონფერენციაზე საკი თავის მოთოკვას ცდილობს.

„ჩემს პოზიციას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ფაქტია, მსაჯმა კეპკე არ გააძევა და ეს მხოლოდ მის კომპეტენციაში შედიოდა.

ჩვენ ისე ვითამაშეთ, რომ არ ვიმსახურებდით ჩემპიონატის დატოვებას. ვფიქრობ, ეს აშკარაა".

გერმანელთა მწვრთნელი რომელმაც ფავორიტთაგანი აქედანვე მოიშორა, დიპლომატობას იჩენს. თუმცა კი მის სიტყვებში სიმართლეც მრავლად არის.

„იტალიამ თავისი თამაშით მიგვაჯაჭვა კარს. ეს არ იყო ჩვენი ტაქტიკა. სამწუხაროა, რომ ასეთი გუნდი ჩამოშორდა ჩემპიონატს".

გერმანელები მომავალზე ფიქრობენ. ჰელმერმა მუხლის ტრავმა მიიღო და საეჭვოა მეოთხედფინალში ითამაშოს. თუმცა, ექიმი ამბობს: მყესი გაწყვეტილი არა აქვს და ტკივილიც, ალბათ, მალე გაუვლისო.

რა ხდება ლივერპულში პრეს-კონფერენციაზე, ამას ვეღარ მოგახსენებთ, მაგრამ ფაქტია, იტალიის ხვედრს გახარებული ჩეხები არ იზიარებენ.

# ისინი ბავშვობიდან მოდიან

პორტუგალია 3:0 ხორვატია

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ბაია | 12 | მრმიჩი |
| 2 | სეკრეტარიუ | 3 | იარნი |
| 5 | კოუტუ | 6 | ბილიჩი |
| 13 | დიმაში | 14 | სოლდო |
| 16 | ჰელდერი | 15 | პავლიჩიჩი |
| 4 | ოსვალდუ | 20 | შიმიჩი |
| 10 | კოშტა | 2 | იურჩევიჩი |
| 19 | სოუზა | 8 | პროსინეჩკი |
| 20 | ფიგუ | 16 | მლადენოვიჩი |
| 8 | პინტუ | 17 | პამიჩი |
| 9 | სა პინტუ | 19 | ვლაოვიჩი |

შეცვლა: პროსინეჩკი — 10 ბობანი (46), პამიჩი — 9 შუკერი (46), მლადენოვიჩი — 7 ასანოვიჩი (46), სა პინტუ — დომინგუში (46), კოშტა — ბარბოზა (62), სოუზა — 6 ტავარეში (70)

გაფრთხილება: პამიჩი, იარნი, პავლიჩიჩი

1:0 ფიგუ (4), 2:0 პინტუ (33), 3:0 დომინგუში (82)

მსაჯი: ბ. ჰეინემანი (გერმანია)

19 ივნისი. „სიტი გრაუნდი"

ზურაბ მექვაბიშვილი,
დავით მჭედლიშვილი
ნოტინგემიდან

ოლივეირას ჰკითხეს, ძალიან მნიშვნელოვანია თქვენთვის ხორვატიის დამარცხება და ამით მეოთხედფინალში გერმანიის



რიკარდუ სა პინტუსა დადუბრავკო პავლიჩიჩის ორთაბრძოლა

თავიდან აცილებაო (დარწმუნებულნი იყვნენ, რომ C ჯგუფში პირველზე გერმანია გავიდოდა), რაზეც პორტუგალიელთა თავკაცმა მიუგო, ამაზე არ ვფიქრობ, ამწუთას ჩემთვის მთავარი ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტთან (ხორვატიას გულისხმობდა) კარგად თამაშია, მომავალ მეტოქეზე კი მერე ვიფიქრებო. თუ მომავალ მეტოქეზეც ისევე იფიქრებს პორტუგალიის მართლაც კარგი გუნდის ხელმძღვანელი, როგორც ხორვატიაზე იფიქრა, საეჭვოა, მეტოქემ იგი იოლ ლუკმად მოიგდოს. თამაში ჯერაც არ იყო საფუძვლიანად გახურებული, რომ მე-4 წუთზე ანგარიში გაიხსნა. მარჯვენა ფრთიდან სეკრეტარიუმ საჯარიმოში ჩააწოდა, იქ სამი ხორვატი მცველი რუი კოშტას გაყვა, „ბარსელონას" ნახევარმცველი ლუიშ ფიგუ კი უმეთვალყუროდ დარჩა და შანსი ხელიდან არც გაუშვა. ამის შემდეგ, 16 წუთის განმავლობაში, ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა, მე-20-ზე კი ხორვატებს მიეცათ ანგარიშის გათანაბრების შანსი: იარნის მარცხენა ფრთიდან ჩაწოდებული ვლაოვიჩმა კარისკენ გაგზავნა, მაგრამ ვიტორ ბაიამ, რომელიც ახალი სეზონიდან „ბარსელონაში" ფიგუს თანაგუნდელი გახდება, ბრწყინვალედ მოიგერია. ბურთს კვლავ ვლაოვიჩი დაეუფლა, ოღონდ გაუარესებულ პოზიციაში. მან შორეულ ძელთან გადააწოდა, მაგრამ იქ თანაგუნდელთაგან არავინ აღმოჩნდა. 13 წუთის მერე კი ანგარიში გაიზარდა. პორტუგალიელებმა მარჯვენა ფრთიდან კუთხური ჩააწოდეს, კოუტუმ მცველთან ბრძოლაში თავით სა პინტუსკენ გადაისროლა ბურთი, ცხრა ნომერმა მაკრატელათი შეგდება სცადა, მაგრამ ჟოაო პინტუსთვის კარგი პასის მიწოდება გამოუვიდა და ბენფიკელის დარტყმით ტაბლოზე მათი ერთიანი ორით შეიცვალა.

მეორე ტაიმში ხორვატებმა, რომელთაც პირველში ზვონიმირ ბობანი და დანიელებთან წინა მატჩის გმირი დავორ შუკერი არ ჰყავდათ, ეს დუეტი შეიყვანეს და ტემპის აჩქარება და ინტენსიურად შეტევა სცადეს, მაგრამ ტექნიკურმა მეტოქემ ბურთის კონტროლში ივარგა და ყოფილ იუგოსლაველებს, რომელთაც, როგორც ჩანს, მეოთხედფინალგანაღდებულს საგანგებო ბრძოლის ჟინი იმთავითვე არ ჰქონდათ, ინიციატივა წაართვეს. თუმცა, ვერც იმას ვიტყვით, თავად მოუწყვეს კარის შტურმიო. 57-ე წუთზე ჟოაო პინტუმ, რომელიც გუშინ შესამჩნევად კარგად თამაშობდა, სამი მცველის გარემოცვიდან მოახერხა ჩაწოდება, რუი კოშტამ ახლო ძელთან თავით შორეულისკენ სცადა ბურთის შეგდება, მაგრამ ოდნავ ააცილა. შემდეგ, კვლავ ისეთი თამაში გაჩაღდა, პირობითად საჯარიმოდან საჯარიმომდე რომ ეთქმის, 78-ზე კი ასანოვიჩის დარტყმა ბაიამ მოხდენილი ნახტომით მოიგერია. ამ პერიოდისთვის ხორვატებმა კვლავ ინიციატივის ხელთ ჩაგდება მოიწადინეს. საამისოდ ორჯერ თუ სამჯერ ახეთი კომბინაციაც გაითამაშეს — მარცხენა ფრთიდან, ოდნავ უკნიდან, შორეულ ძელთან პასი და იქ ფორვარდის სისხარტის იმედად ყოფნა, მაგრამ არც პორტუგალიელი მცველები იყვნენ ჯაბანნი. ამას კი 3:0 მოჰყვა: 82-ე წუთზე პავლიჩიჩმა იქვე მდგომ ბილიჩის ზურგს ვერ ააცილა, თანაც ისეთი ძალით დაჰკრა, რომ ბილიჩის ზურგიდან ბურთი შორიახლოს კი არ დავარდა, პირდაპირ შეცვლაზე შესულ დომინგუშს დახვეწილ პასად მიუვიდა, დომინგუში კი ამ შესაძლებლობას რაღად გაუშვებდა ხელიდან?

ამის შემდეგ, ბუნებრივად, ხორვატთა მომენტები წამოვიდა. ჯერ ასანოვიჩი შერბოდა კარგად და დაბალი დარტყმით ცდილობდა თუნდაც ერთი გოლის შეგდებას, მაგრამ სიზუსტემ უმტყუნა. მერე იარნიმ გაითამაშა თანაგუნდელთან კომბინაცია, დაარტყა, მაგრამ მანაც ააცილა.

ამრიგად, წითელ-თეთრ უჯრედებიანმა გუნდმა, ბევრისთვის ჩემპიონატის აღმოჩენას რომ წარმოადგენს და აქამდე გოლი არ ჰქონდა გაშვებული, ერთბაშად სამი გაუშვა. პორტუგალია კი წინა თამაშებთან შედარებით უფრო დახვეწილი გვეჩვენა. ან კი რა არის გასაკვირი, ისინი ხომ (ცხადია, გადაჭარბებით ვამბობთ) ლამის ბავშვთა ნაკრებიდან ერთად მოდიან და ასაკი ემატებათ, ახალი ფეხბურთელი კი არა.

— ძალიან ცუდია, შეხვედრის დასაწყისშივე რომ გაუშვებ გოლს — თქვა მატჩის შემდეგ ხორვატთა ხელმძღვანელმა მიროსლავ ბლაჟევიჩმა — ამ დროს ყველანაირი გეგმა გერევა. იმედი მაქვს, მეოთხედფინალში ისევე ვითამაშებთ, როგორც წინა ორ შეხვედრაში.

**მიროსლავ ბლაჟევიჩი: მეოთხედფინალში გერმანიასთან შეხვედრა მირჩევნია, რადგან მათი სტილი საჩვენოა.**

კითხვაზე, თავიდან შესუსტებული შემადგენლობა რომ ათამაშეთ, იმას ხომ არ ნიშნავდა, რომ დანიის მოშორება და პორტუგალიელთათვის ხელის შეწყობა გინდოდათო, მან უპასუხა:

— შემადგენლობის შეცვლა იმით იყო განპირობებული, რომ განმეორებითი ყვითელი ბარათებისა და ტრავმების შეგვეშინდა. იერკანს ცხვირი აქვს დაშავებული, სტანიჩს მუხლი, ბოკშიჩს კი წარბი.

ოლივეირა კი შედეგით და თამაშით ფრიად კმაყოფილი იყო:

— შესანიშნავად გავიმარჯვეთ, უმნიშვნელოვანეს წარმატებას მივაღწიეთ — თქვა მან. — სულ არ მენაღვლება, ხორვატებმა ძლიერი შემადგენლობით დაიწყეს თამაში თუ სუსტით, ანგარიში თავისას მეტყველებს.

იგივე თქვა დომინგუშმაც, მესამე გოლის ავტორმა. მისი სიტყვით, პორტუგალიამ დაამტკიცა, რომ ძლიერი გუნდია, მომდევნო ეტაპზე კი ვის შეხვდებიან (მაშინ ცნობილი არ იყო), არ აღელვებს.

ეს, თურმე, არც ოლივეირასთვისაა გადამწყვეტი. ვისაც გინდა შევხვდეთ, მაინც უნდა ვიბრძოლოთო.

ბლაჟევიჩს კი დაჩემებული ჰქონდა, მეოთხედფინალში გერმანია მაწყობს მათი თამაშის სტილის გამოო.

## „სარბიელის" რჩეული

**ჟოაო პინტუ ბენფიკელია. ხორვატებთან შეხვედრაში მან გოლიც შეაგდო და ზოგადად კარგადაც თამაშობდა. ხშირად მონაწილეობდა შეტევებში; აწვდიდა ზუსტ პასებს.**





რობერტ იარნი ორი პორტუგალიელის გარემოცვაში

# ო, ენავ ჩემო...

დანია 3:0 თურქეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | შმაიხელი | 22 | რუსთუ |
| 2 | ჰელვეგი | 2 | რეჯები |
| 3 | რიპერი | 3 | ალფაი |
| 5 | ი. ჰოგი | 4 | ვედათი |
| 6 | შენბერგი | 5 | თუგაი |
| 7 | სტენ-ნილსენი | 8 | ოგიუნი |
| 8 | თომსენი | 7 | ჰამი |
| 10 | მ. ლაუდრუპი | 17 | აბდულა |
| 17 | ა. ნილსენი | 9 | ჰაქანი |
| 11 | ბ. ლაუდრუპი | 11 | ორჰანი |
| 15 | ე. ბ. ანდერსენი | 15 | ტაიფუნი |

შეცვლა: შენბერგი — 13 ჰ. ლარსენი 46, ჰაქანი — 18 არიფი 46, ორჰანი — 20 ბიულენთი 68, რეჯები — 14 საფეთი 68, ე. ბ. ანდერსენი — 21 ს. ანდერსენი 86

გაფრთხილება: თუგაი, ჰელვეგი, ტაიფუნი, ჰ. ლარსენი, რუსთუ

1:0 ბ. ლაუდრუპი (49), 2:0 ა. ნილსენი (69), 3:0 ბ. ლაუდრუპი (84)

მსაჯი: ნ. ლევნიკოვი (რუსეთი)

19 ივნისი. შეფილდი. „ჰილსბრო".

რიქარდ მიოლერ-ნილსენმაც და ფატიჰ თერიმმაც ნაკრებები ერთი კაცისგან, ზეპ პიონტეკისგან ჩაიბარეს. ჩაიბარეს და, ორივე თავ-თავიანთი ქვეყნების საფეხბურთო ისტორიაში შევიდა: დანიელმა ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, თურქმა ევროპის ჩემპიონატის საგზური. ამ მატჩის წინაც ორივემ ერთი და იგივე პირობა დადო: ისე არ წავალთ ამ ჩემპიონატიდან, კარი მაგრად არ გავიჯახუნოთო... ისე, მართლა ერთმანეთთან თუ იზამდნენ რამეს, თორემ რა ბიჭებიც იყვნენ, წინა ორ ტურში გამოჩნდნენ. დანიელებს კარში ოდენ თხუთმეტჯერ დაარტყამთ, თურქებს — ჩვიდმეტჯერ. შედარებისთვის ვიტყვი, რომ ჰოლანდიამ 34 ჯერ დაარტყა, ხორვატიამ 29-ჯერ და 26 ჯერაც პორტუგალიამ. მოკლედ, ორი, ბოდიში და, ქარაფუცა გუნდის მატჩი იყო...

რიქარდ მიოლერ-ნილსენი, როგორც იქნა, შეელია მიქელ ბეკს და, ალბათ, ბრიან ლაუდრუპის რჩევით, თავდასხმაში ერიკ ბო ანდერსენი გამოიყვანა — „წითელი რომარიო", რომელიც ბრიანმა „გლაზგო რეინჯერზის" ხელმძღვანელობას აყიდვინა და დანიელმაც ლამის ყველა მატჩში გაიტანა გოლი შოტლანდიაში. ერიკ ბო შარშან ერევანში გავიცანი, მაშინ მწვრთნელმა შანსი არ მისცა, ახლა კი, დასაკარგი რაღა ჰქონდა და, მეორე ფორვარდად გამოიყვანა.

ხორვატებთან სამარცხვინოდ წაგებული მატჩის შემდეგ დანიის საფეხბურთო კავშირმა ფეხბურთელებს ნება დართო, ერთი ღამე ცოლებთან და საყვარლებთან გაატარეთ, ეგება, მაგან მაინც გაგიღვიძოთ კაცობაო. დანიელებმაც, მატჩის წინა ღამეს ვნებები დაიცხრეს და, როგორც აღმოჩნდა, ამან მართლა გაუღვიძათ კაცობა და თურქეთთან არც შერცხვნენ. კიმ ვილფორტი 100 ათასი დანიური კრონითაც (20 ათასი დოლარი) დააჯილდოვეს: წინა ჩემპიონატზე გოგონა ელუპებოდა, ეს კი საავადმყოფოდან პირდაპირ თამაშებზე ჩამოდიოდა და გუნდი არ დაალალატაო. როცა ბრიან ლაუდრუპს ვკითხე, მართლა ვილფორტის შვილის გულისთვის მოიგეთ წინა ჩემპიონატი-მეთქი, ეგრე იყოო, დამიდასტურა და ერთიორად მეტი სიმპათიები გამიჩინა. ვილფორტი კი დღემდე უმძიმესად განიცდის შვიდი წლის ბავშვის დაკარგვას და როცა ამის შესახებ ვკითხე, ისე გაბრაზდა, ლამის ტირილი დაიწყო, მერე კი კარისკენ მიმითითა, შენთან საუბარი არ მსურსო... მოკლედ, მეგობრის უბედურებამ ოთხი წლის წინ დანიელები უფრო შეკრა და სასწაულიც ჩაადენინა, წელს კი... თუმცა ამაზე ქვემოთ.

დანიელები, ყველა უკლებლივ, მწვრთნელიანად, ისე ომახიანად მღეროდნენ ეროვნულ ჰიმნს: „დედა დანიას", ნათელი იყო, არ წააგებდნენ, თურქები კი უფრო ზრდილობის გულისთვის აღებდნენ პირს, თუმცა პირველივე წუთზე გაბედეს და იერით პირწმინდა დანიელმა აბდულამ მარცხენა ფრთიდან სახიფათოდ შეუტია, მაგრამ დანიის გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელმა თომას ჰელვეგმა კუთხურზე მოიგერია. პირველი თხუთმეტი წუთის განმავლობაში ბურთს თურქები აკონტროლებდნენ, დანიელები კი კონტრშეტევებს მიმართავდნენ, თუმცა ერთხელ კინაღამ თავად წამოეგნენ: ორჰანის ნარიკოშეტალი დარტყმა შმაიხელმა სასწაულ ნახტომში მოიგერია. ისევე, როგორც წინა მატჩებში, რასაც ფეხბურთი ჰქვია, იმას შმაიხელის გარდა ბრიან ლაუდრუპი თამაშობდა, თუმცა რეინჯერზელ თანაგუნდელთან ერთად ხუთჯერ თამაშგარეში მაინც დარჩა. მატჩის მიწურულს კი დანიელებმა ორი ნაღდი გოლი ვერ გაიტანეს: ჯერ პირისპირ გასულმა შენბერგმა გაარტყა რუსთუს, მერე — ალან ნილსენმა. მოკლედ, შესვენებაზე ჯგუფისა და ტურნირის აუტსაიდერები მშვიდობიანად წავიდნენ გასახდელში.

## „სარბიელის" რჩეული

**ლაუდრუპი [illegible] უმცროსი თუ ამ მატჩში [illegible] ერთ-ერთი საუკეთესო იყო, მაგრამ რომ [illegible], შმაიხელის [illegible] ვერაფერს უშვება. „[illegible] ჯება რა მოხატანია, მაგრამ სწორედ ბრიანის აქტიურობამ და ლამაზმა გოლებმა მოიტანა. ახალ სეზონს 27 წლის ბრიან ლაუდრუპი „ბარსელონაში" დაიწყებს, სადაც მისმა უფროსმა ძმამ წარუშლელი კვალი დატოვა. ახე, რომ, თუ ვინმემ გამოიჯახუნა კარი, სწორედ ამ სიმპათიურმა დანიელმა. ნაკრებში კი ჯობდა, ვნახოთ, „ბარსელონაშიც" თუ აჯობებს მიქაელს...**



მეორე ტაიმის დაწყება და გოლი ერთი იყო: ერიკ ბო ანდერსენმა ფსიქოლოგიური შიში დასძლია და ისევე ათამაშდა, როგორც „რეინჯერზში". სწორედ მისმა თაურმა პასმა ჩაიქროლა ალფაისა და ოგიუნს შორის და ბრიანი რუსთუსთან პირისპირ დატოვა. ვინ-ვინ და, უმცროსმა ლაუდრუპმა კი ჩინებულად იცის, რა მოიმოქმედოს ასეთ დროს — რუსთუ მშრალზე დასვა და კარისკენ აღარც წასულა, თხუთმეტი მეტრიდან შეაგორა ბურთი — 1:0

აქ თურქები აფაფხურდნენ, მაგრამ, როგორც წინა წერილებში ვთქვი, მათ ფეხბურთის თამაში ინგლისამდე დაამთავრეს შესარჩევ ქვეჯგუფში. ჰოდა, მიქაელ ლაუდრუპმაც, როგორც იქნა, ბარსელონური პასები გაიხსენა და ალან ნილსენი მეორედ გაიყვანა მეკარესთან პირისპირ, ამანაც ტექნიკურად მოჭრა ბურთი რუსთუს თავსზემოთ — 2:0.

აქ დანიელები დამშვიდდნენ, იფიქრეს, ეგ არის, რასაც გვინდა, იმას ვშვრებითო და, ჩვენ რომ მაიმუნობას ვეძახით, ის დაიწყეს, ანუ მომენტს მომენტზე აცუდებდნენ, მაინცდამაინც ლამაზი გოლების გატანა სურდათ. ორჯერ რიპერმა იპროფესორა და ააცილა, თითოჯერ ალან ნილსენმა და ბო ანდერსენმა. მოკლედ, ცალი ფეხითღა თამაშობდნენ. ეგ კი არა, ქუსლებით და მაკრატელებით „მარიაჟი" ატეხეს. შმაიხელმაც კი მოინდომა გოლის გატანა და ერთხელაც, თურქთა შეტევა ჩაშალა თუ არა, კარიდან შორს გამოსული რუსთუ დაინახა და ძლიერად დაარტყა. რუსთუ მართლაც შორს იყო გამოსული და როცა მიხვდა, ბურთს ანდერსენი დაეუფლებაო, ხელით ითამაშა საჯარიმოს გარეთ, რის გამოც მსაჯისგან მყის ყვითელი ბარათი მიიღო. მოკლედ, დანიელებმა თამაშის სანახაობრივ მხარეს დაუთმეს მეტი ყურადღება, აქაოდა, მატჩი მოგებულიაო. ამას თურქი გულშემატკივრებიც ხვდებოდნენ და მათი ტრაგიკული სახეების შემხედვარემ გავიფიქრე, გასანთლულ თოკებზე თუ ფიქრობენ-მეთქი, არადა, რა ეგონათ, განა ამ ნაკრებით რამის მიღწევა შეიძლებოდა?

მატჩის მიწურულს ისევ „რეინჯერსის" დუეტმა გაიბრწყინა — ბრიანმა ერიკ ბოს მიაწოდა საჯარიმოსთან, ამან ოდნავ დააყოვნა და როგორც კი ლაუდრუპი მარჯვენიდან შეიჭრა საჯარიმოში, ლამაზად გაუჭრა პასი თურქი მცველებს შორის. უმცროსმა ლაუდრუპმაც ლაჯებსშუა გაუძვრინა ბურთი რუსთუს და ანგარიში უფრო „გაალამაზა". ერთი სიტყვით, გამოჯახუნება ისეთი იყო, ლამის ანჯამები დაიმტვრა. დუბლის ავტორი ბრიან ლაუდრუპი კი მართლა წინასწარმეტყველი გამოდგა, მეოთხედფინალში გასვლა ხორვატიასა და პორტუგალიას რომ უწინასწარმეტყველა.

სიტყვამ მოიტანა და, ხორვატებზეც: მათმა მწვრთნელმა ბლაჟევიჩმა დანიელთა გასაგონად თქვა, განა დამვიწყებია, ოთხი წლის წინ საჩემპიონო შემოსავლის ნაწილი გაჭირვებულ ხორვატ ბავშვებს რომ გადაურიცხეთ. 3:0 კი მოგიგეთ, მაგრამ ახლა პორტუგალიასაც იგივეს ვუზამთ და მეოთხედფინალში გასვლაში დაგეხმარებით, ჩვენგან გადახდილი სიკეთეც ეს იქნებაო... პორტუგალიელებმა კი ხორვატები ისევ დატოვეს დანიელთა ვალში, რომლებიც ვადამდე იქცნენ ექს-ჩემპიონებად და ევროპა ათი დღით უგვირგვინოდ დატოვეს.

მამუკა კვარაცხელია

## გაქაღალდა ცხოვრება

ავლაბარში რომ ფეხბურთის სტადიონი იყო, აი, ის, სკა-ს რომ ეძახდნენ, ფეხბურთის მოყვარულებს კარგად მოეხსენებათ. ჰოდა, მას მერე, რაც ეს მოედანი 1990 წელს რუსის ჯარმა დაავდო, მას ჩვენი ფეხბურთის ფედერაცია პარტნიორობდა. ამ სტადიონით მრავალი გუნდი სარგებლობდა, ბავშვებიც მრავლად ბურთაობდნენ და თუ დიდი ფეხბურთელები ვერ ხდებოდნენ ჯანმრთელნი მაინც იზრდებოდნენ. მოკლედ, თბილისში შედარებით ნორმალური საფეხბურთო კომპლექსი იყო „დინამოსა" და „შევარდენის" შემდეგ. მერე ის იყო, რომ ეს ადგილი თავდაცვის სამინისტროს გადაეცა და აქ ამავე სამინისტროს არცთუ ურიგო გუნდი ატარებდა ჩემპიონატის თამაშებს.

ზემოთ ვთქვით, ფეხბურთის სტადიონი გვქონდაო. კი მაგრამ, რა მოუვიდა, სად გაქრებოდა ამოდენა ტერიტორიაო, იკითხავს მავანი. არსადაც არ გამქრალა, ახლაც იქ არის, მაგრამ ყოფილ სკა-ზე ფეხბურთის მატჩების კი არა, ძაღლების დოღის გამართვა იგეგმება ამჟამად. იქნებ გსმენიათ კიდეც ქალაქში დარხეული ხმები, ავლაბარში ძაღლების დოღი უნდა მოეწყოს და ტოლტალიზატორიც იმუშავებსო.

ეს ამბავი ფეხბურთის ფედერაციაში შევიტყვეთ. ამით ერთობ აღშფოთებულა ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი. შეშფოთებას და უკმაყოფილებას არა მარტო ფედერაციაში, არამედ სხვა საფეხბურთო წრეებშიც არ მალავენ. ძაღლების დოღის საფეხბუთრო მინდორზე გამართვას ინგლისში დიდი ხნის ტრადიცია აქვს და უემბლიზეც კი იმართება, მაგრამ არავის მოსვლია აზრად, სტადიონიდან ფეხბურთის გუნდი დაეთხოვა. არადა, თავდაცვის სამინისტროს ზოგიერთ წარმომადგენელს თურმე სტადიონის გადაკეთება და ძაღლების დაფუძნება განუზრახავს, იქ მოვარჯიშე გუნდი და ბავშვები სად წავიდნენ, არც დაფიქრებულან. თან საინტერესო და თან ბუნებრივი არის ვიკითხოთ, რა გაუჭირდა ისეთი თავდაცვის სამინისტროს, რომ ძაღლებისთვის ერთი ტრიალი მინდორი ვერ იპოვა. ის, ხომ არ არის საქმე (არადა, სწორედ ასე ჩანს) ვიღაცას ფულის კეთება მოსდომებია და ამისთვის ფეხბურთს აზარალებს, ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელთა და გულშემატკივართა აზრი რომ ვიცით, არა გვგონია მომხდურებს რამე გამოუვიდეთ. მოკლედ, დაფიქრება და სწორი დასკვნების გამოტანა უჯობთ, ვინც ამ საქმეში სულსწრაფობას იჩენს, თორემ უხეირო საქმის კეთებაში (თავისთავად ძაღლების დოღს არას ვერჩით, თუ ასე სურთ) ჯიუტობით ვის რა გამოსვლია.

## ფრანგული კომპლიმენტი

ფოთის „კოლხეთის" წარმომადგენლის ვახტანგ ხაინდრავას თქმით, ინტერტოტოელ მეტოქე-სტუმართა ღირსეულად დასახვედრად ფოთში დიდი მუშაობა გაჩაღებულა.

მთავრდება სტადიონის რეკონსტრუქცია, რომელიც ჩემპიონატის დამთავრებისთანავე, 2 ივნისს დაიწყო. მთლიანად აიყარა ძველი ხის საჯდომები, მათ ნაცვლად ახალი დაიგო და შეიღება. გასახდელები, მსაჯთა და საპატიო სტუმართა ოთახების რემონტიც დღე-დღეზე დასრულდება, ისევე, როგორც პრეს-ლოჟისა და ტელეტრანსლაციისთვის საჭირო სპეციალური ჯიხურებისა. მოწესრიგდა და გაუმჯობესდა მოედნის საფარიც. ეს ყოველივე საკუთარი თვალით უნახავს ფოთელთა ერთ-ერთი მეტოქის, საფრანგეთის „ვინგამის" ვიცე-პრეზიდენტს, რომელიც კმაყოფილი დარჩენილა სტადიონის მდგომარეობით და უთქვამს, ამ სტადიონზე თამაში სავსებით შესაძლებელიაო. თუმცა კი, უკვე გადაწყვეტილა, რომ „კოლხეთი" პირველ საშინაო მატჩს იუგოსლავურ „ზემუნთან" 29 ივნისს ბათუმში გამართავს, მეორეს კი ფოთში უმასპინძლებს. „კოლხეთის" წარმომადგენელმა გუნდში მომხდარ ცვლილებებზეც გვაცნობა. „კოლხეთიდან" ქუთაისის „ტორპედოში" გადავიდნენ ირაკლი ხუჯაძე და გია გიგატაძე, შეიმატეს გახოკიძე („დინამო 2") ლურსმანაშვილი („სამტრედია"), სოლოღაშვილი („კახეთი"), ყულეჯიშვილი („შუქურა") და მიშველაძე („აზოტი"). დინამოელებთან, გადელიასთან და ტრაპაიძესთან პირობებზე ვერ შეთანხმებულან.

— რადგან ყველაზე ადრე ჩვენ გვიწევს ევროპულ თასზე თამაში, ბუნებრივია, სხვებზე ადრეც დავიწყეთ მზადება — გვითხრა, ვახტანგ ხაინდრავამ — თავიდან ანთალიაში ვაპირებდით გამგზავრებას, მაგრამ თურქები ბალახისსაფარიან მოედანს ვერ შეგვპირდნენ და ამიტომ აბაშის რაიონის სოფელ მარანში გავემართეთ, სადაც საუცხოო მოედანი და მოსამზადებელი პირობებია. მაგრამ ამჟამად კლუბი ერთი დიდი პრობლემის წინაშე დგას: მთავარი მწვრთნელი სოსო ფილია ინფაქტის შემდეგ, მართალია, გამოკეთდა, მაგრამ შესაძლოა გუნდში სხვა თანამდებობა დაიკავოს. მისთვის მწვთნელად მუშაობა, ფაქტიურად, არც შეიძლება. ამის გამო მთავარი მწვრთნელის საკითხი, ფაქტიურად, ჯერ არ გადაწყვეტილა.

# კახა ელაშვილი: სამტრედია ევროპაში არ გაუშვეს



საქართველოს VII ჩემპიონატი დასრულდა. გაირკვა პრიზიორთა და ევროთასებზე მოასპარეზეთა ვინაობა, რომელთა შორის ბოლო ორი წლის ჩემპიონატების ინტრიგის მიმცემი „სამტრედია" ვერ მოხვდა. გუნდმა მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავა, ფეხბურთელებიც სხვადასხვა გუნდებში მიმოიფანტნენ. გოგიაშვილმა „ჟემჩუჟინასთან" გააფორმა კონტრაქტი. სოჭელებმა ზვიად ჯელაძეც გასინჯეს და, მიუხედავად იმისა, რომ იგი საქართველოში ბრუნდება, სამტრედიაში მისი თამაში მაინც საეჭვოა. სოჭის „დინამოს" კარს ლევან დოლაბერიძე დაიცავს, გია ჩხაიძე კი — თბილისის „დინამოს" ღირსებას. პაატა ლურსმანაშვილი ფოთელებს დაეხმარება ინტერტოტოზე. ჯერჯერობით გაურკვეველია გიორგი დარასელიას მომავალი გუნდის ვინაობა. ტყავაძემ „სამტრედია" ჯერ კიდევ მეორე წრეში დატოვა, ისევე როგორც ვალტერ გუჩუამ. ამიტომაც იყო, ხმები რომ დაირხა — „სამტრედია" დაიშალაო. თუმცა ამას გუნდის მთავარი მწვრთნელი კახა ელაშვილი კატეგორიულად არ ეთანხმება.

— ეს ხმები მათი გავრცელებულია, ვისაც „სამტრედიის" დაშლა სურს. ალბათ იკითხავთ: ამდენი ფეხბურთელის წასვლა გუნდის დაშლაა, მაშ რაღა არისო? ფეხბურთელთა წასვლა გუნდის რთულმა ფინანსურმა მდგომარეობამ განაპირობა და, ბუნებრივია, ეს დიდი დანაკლისი იყო ჩვენთვის, მაგრამ ახლა მდგომარეობა უკეთესობისკენ მიდის. თუმცა მიჭირს თქმა, რამდენად ძლიერი იქნება მომავალ ჩემპიონატში „სამტრედია". ერთი კი ფაქტია — ჩვენი ქომაგები გუნდის დაძაბუნებას ვერ შეეგუებიან. ტარიელ ჩაჩუამ აღგვითქვა, რომ „სამტრედია" არ დაიშლება. მან გუნდი ახლა არ უნდა მიატოვოს. ეს „სამტრედიას" სიკვდილის ტოლფასი იქნება. ჩაჩუამ ყველაფერი გააკეთა გუნდისთვის, დარწმუნებული ვარ, მას სამტრედიის საქმოსნები და მეგობრებიც დაეხმარებიან და „სამტრედია" მომდევნო სეზონში სამეულისთვის იბრძოლებს.

**— გამოგიტყდებით, მე ისიც მიკვირს, ცხრა ფეხბურთელის წასვლის შემდეგ როგორ შეხძელით მეოთხე ადგილის დაკავება. დამეთანხმებით, ეს შედეგი თქვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი იყო.**

— როგორც ცხონებული გიგა ნორაკიძე ამბობდა — ერთ ხელში ჯოხი უნდა გეჭიროს, მეორეში — „პრიანიკი". მწვრთნელად მან აღმზარდა და ამიტომ ვიცი, როგორაც ამართლებს ეს მეთოდი. ხაჟალიაც ამას მასწავლიდა. სიმკაცრე რომ არა, გუნდი, ალბათ, ათეულშიც ვერ მოხვდებოდა. მეც ვთვლი, რომ მეოთხე ადგილი ჩვენთვის ურიგო შედეგი არ იყო.

**— რეალობა რეალობად, მაგრამ თქვენი ქომაგები მაინც გულნატკენნი დარჩნენ, გუნდი ევროთასებზე რომ ვერ იასპარეზებს.**

— ბევრი მოთამაშე რომ დაგვაკლდა, უკვე გითხარით, ამან ძლიერ დაასუსტა გუნდი, მაგრამ მეოთხე ადგილი ხომ მაინც დავიკავეთ და გავუსწარით რუსთავს და ბათუმს, რომლებსაც ბოლოს ჩვენზე ძლიერი ფეხბურთელები ჰყავდათ. მეტიც შეგვეძლო, გარკვეული მიზეზები რომ არა.

**— კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— იმას, რომ ზოგიერთები ბინძურად აფათურებდნენ ხელს „სამტრედიას" საქმეებში და ყველანაირად ცდილობდნენ, გუნდი საპრიზო სამეულის და ევროთასების მიღმა დაეტოვებინათ. საწადელს მიაღწიეს კიდეც. ვისაც ვგულისხმობ, თავადაც მოეხსენებათ და თავის გულში კარგად ჩაიხედონ — იქნებ შერცხვეთ და თავი დაგვანებონ.

**— ქარაგმებს ვერ მიგიხვდით. ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთა მიმართ ხომ არ გაქვთ პრეტენზიები?**

— არა, თქვენ ვერ გამიგეთ, ფედერაცია და მისი ხელმძღვანელობა არაფერ შუაშია. პირიქით, მათ მიმართ მადლობის მეტი რა გვეთქმის. იგივეს ვიტყვი მსაჯებზეც — ყველა მატჩი, რომელიც სტუმრად ჩავატარეთ, ობიექტურად იმსაჯეს.

ზოგიერთები ახლა გახარებულნი არიან ჩვენი დროებითი ჩამორჩენით. მე სწორედ ასეთებზე მაქვს საუბარი. ბოლო ტურის თამაშების გახსენებაც არ მინდა. ერთ-ერთი გუნდის ხელმძღვანელმა სახალხოდ დაიქადნა — „სამტრედიას" მე-5 ადგილს ზემოთ არ ავუშვებო. თავისდა სამწუხაროდ, შეცდა. ჩვენ ერთი საფეხურით მაღალი ადგილი დავიკავეთ. ისე კი, მიკვირს, ფეხბურთში შემთხვევით მოხვედრილი ხალხი მსგავს განცხადებებს როგორ აკეთებს.

არადა, გულდასაწყვეტია, საპრიზო სამეულში რომ ვერ მოვხვდით. რა იქნება მომავალ ჩემპიონატში, ვერ გეტყვით, გასულ ჩემპიონატში კი, ტრაბაზში თუ არ ჩამომართმევთ, „დინამოს" შემდეგ ადგილს ვიმსახურებდით.

**— რა ცვლილებებია გუნდში მოსალოდნელი?**

— ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. ყველაფერი 20 ივნისს გადაწყდება — ვინ დატოვებს გუნდს, ვინ შეგვემატება. რამდენიმე ფეხბურთელის მოწვევას ვაპირებთ. პირობებიც გაგვიუმჯობესდება და, იმედი მაქვს, ბევრი ფეხბურთელი დაინტერესდება ჩვენით.

**— როგორც შევიტყვეთ, გუნდის დატოვებას აპირებდით...**

— მართალს ბრძანებთ, ასეთი სურვილი ნამდვილად მქონდა, რადგან უკრაინის I ლიგის ერთ-ერთ ლიდერ გუნდში გადასვლას მთავაზობდნენ. გადავიდოდი კიდეც, მაგრამ 31 მაისს გუნდის ხელმძღვანელთა სამტრედიელ გულშემატკივრებთან შეხვედრის შემდეგ გადაწყვეტილება შევცვალე. არ შეიძლება გუნდის ახლა მიტოვება. ყველაფერს რომ თავი დავანებო, სამრტრედიელი კაცი ვარ და ამის გამოც უნდა ვემსახურო გუნდს, სანამ შევძლებ და საჭირო ვიქნები.

სამტრედიელ გულშემატკივრებზეც უნდა ვთქვა — ისინი მშვენივრად არჩევენ ავსა და კარგს, მხარში ამოგვიდგნენ და არ გვიმტყუნეს. ჩვენ სწორედ ახლა გვესაჭიროება მათი თანადგომა.

გულშემატკივრები ვახსენე და არ მინდა უყურადღებოდ დავტოვო ერთ ფაქტი. აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის ამასწინანდელ ინტერვიუში ასეთმა ფრაზამ გაიელვა — სენაკსა და სამტრედიაში ჩვენს ფეხბურთელებს თათრებსა და ყიზილბაშებს ეძახდნენო. კარგად იცით, თამაშის დროს მწვრთნელები რა მდგომარეობაშიც ვართ, შეიძლება გულშემატკივართა შეძახილი ვერც გავიგოთ. იმ დღეს, ბათუმელებს რომ ვხვდებოდით, მსგავსი რამ არ მომისმენია. შეიძლება, ვიღაცამ მართლაც დაიძახა ასეთი რამ, მაგრამ თითო-ოროლა ულირსი ყველასა ჰყავს და რა გასაკვირია, თუ ასეთები სამტრედიაშიც გამოიძებნა. ფაქტია, რომ შეურაცხმყოფელ შეძახილებს მასიური ხასიათი არ ჰქონია და არც შეიძლებოდა ჰქონოდა. აჭარლებს ხომ ჩვენს სისხლად და ხორცად მივიჩნევთ. და თუ ასეთი ალმაშფოთებელი ფაქტი მართლაც მოხდა, აჭარის მცხოვრებთ იმ ულირსების ნაცვლად ვუხდი ბოდიშს.

**— თქვენ ბრძანეთ, სამტრედიელი გულშემატკივრები შავს და თეთრს ახხვავებენო, მანამდე კი — ეშმაკის ხელებით საქმეს გვიფუჭებენო. კონკრეტულად მაინც არაფერი გვითხარით. ჩაწყობილ თამაშებს ხომ არ გულისხმობთ?**

— იცით, ბევრი რამაა გულსატკენი. ფოთში გამარჯვების შემდეგ ტელევიზიით გამოაცხადეს — „დინამომ" ბათუმში გაირაჯვა, „სამტრედიამ" კი ფოთში თამაშის მოგება მოახერხაო. ყველას გასაგონად ვაცხადებ — „სამტრედია" მოგებას კი არ ახერხებდა, არამედ დამსახურებულად იმარჯვებდა.

რაც შეეხება ჩაწყობილ თამაშებს. დიდი ბრძოლაც რომ გამოვუცხადოთ ამას, ეჭვი მეპარება, რომ ბოლო ტურებში თამაშები სუფთად ჩატარდეს. გაცილებით მირჩევნია შეხვედრისას ვინერვიულო და ჯანმრთელობა გავიუარესო, ვიდრე არხეინად ვუყურო, როგორ იგებს ჩაწყობილ თამაშს ჩემი გუნდი.

**— როგორ ფიქრობთ, საპრიზო სამეულში გუნდები დამსახურების მიხედვით განაწილდნენ?**

— რადგან პრიზიორები გახდნენ, ალბათ, დამსახურებად უნდა ჩავუთვალოთ. მე მათ წარმატებას ვუსურვებ. ეს ქართული ფეხბურთის წინსვლისათვის აუცილებელია.

მერაბ მამულაშვილი

ბადრი კეთილაძის ფოტო

| სამტრედია | | | |
|---|---|---|---|
| სიონი | 3:0 | (2:0) | სტუმრად |
| დინამო | 0:0 | | შინ |
| ეგრისი | 4:2 | (1:0) | სტუმრად |
| კოლხეთი | 2:0 | (0:0) | სტუმრად |
| ბათუმი | 2:2 | (2:1) | შინ |
| ოდიში | 2:2 | (1:2) | სტუმრად |
| ტორპედო | 2:2 | (1:0) | შინ |
| მეტალურგი | 1:2 | (0:0) | სტუმრად |
| დილა | 4:1 | (1:0) | შინ |
| მარგვეთი | 0:0 | | სტუმრად |
| შევარდენი | 4:2 | (3:1) | შინ |
| ივერია | 5:3 | (3:0) | სტუმრად |
| კახეთი | 4:1 | (3:0) | შინ |
| გურია | 6:1 | (2:1) | სტუმრად |
| ღურუჯი | 3:0 | | შინ |

(„ღურუჯი" არ გამოცხადდა)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულ | 15 | 9 | 5 | 1 | 42:18 | 32 |
| შინ | 7 | 4 | 3 | 0 | 19:8 | 15 |
| სტუმრად | 8 | 5 | 2 | 1 | 23:10 | 17 |




| მეორე წრეში თამაშობდნენ | | | |
|---|---|---|---|
| მეკარეები | თ | გ | ყ |
| გრიგოლ ჭანტურია | 12 | -12 | 2 |
| ლევან დოლაბერიძე | 6 | -6 | - |
| მცველები | | | |
| ზვიად ჯელაძე | 14 | 3 | 1 |
| პაატა ლურსმანაშვილი | 14 | - | - |
| გიალო ჩხაიძე | 13 | 2 | 1 |
| ვახტანგ ხვადაგიანი | 9 | - | - |
| ნახევარმცველები | | | |
| გიორგი გოგიაშვილი | 14 | 2 | 1 |
| შოთა ჩომახიძე | 13 | 3 | - |
| გელა ფანჩულიძე | 13 | 2 | 1 |
| გიორგი დარასელია | 12 | 7 | - |
| ბესიკ ამაშუკელი | 11 | 3 | 2 |
| კლიმენტი რუხაძე | 9 | - | - |
| თავდამსხმელები | | | |
| დავით ხუჭუა | 14 | 6 | 2 |
| ელდარ გვასალია | 13 | 8 | 1 |
| გიორგი ტყავაძე | 4 | 2 | - |

## სულ ვარლამი, ვარლამი...

რუსეთის ჩემპიონატის პირველ ლიგაში მოთამაშე რუსთაველმა ძმებმა კილასონიებმა, ისე როგორ იქნება, თითო ტურში ორი-სამი გოლი არ გაიტანონ. გამონაკლისი არც მეთექვსმეტე ტური გამოდგა. სანკტ-პეტერბურგის „ლოკომოტივ-სატურნმა" ლენინსკ-კუზნეცკის „ზარიას" უმასპინძლა და, როგორია, 9:0 მოუგო. „ზარიას" მცველებმა ვერაფერი მოუხერხეს ვარლამ კილასონიას, რომელმაც, არც მეტი, არც ნაკლები, 7 გოლი გაიტანა. მერვეც შეეძლო, მაგრამ, გაგეცინება კაცს, სტუმართა მეკარემ პენალტი აუღო. ახლა ჩვენებური 14 გატანილი ბურთით პირველია ბომბარდირთა სიაში და თუ ასე გააგრძელა... იმასაც მოგახსენებთ, რომ მეტოქეთა კარის აღება გიორგისაც ეხერხება და ჯერჯერობით 7 გოლით მეხუთეა გამტანთა ნუსხაში.

სარბიელი

ტოტალიზატორი "CROCO"

ევროპის ჩემპიონატი

მეოთხედფინალური შეხვედრების ფსონები იხილეთ ხვალინდელ ნომერში

ფსონების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ფსონები მიიღება ყოველდღე კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში 13-დან 16 საათამდე
საღამოს საათებში „კროკო" იმუშავებს კინოთეატრის მცირე დარბაზში

კომპიუტერები
პრინტერები
მულტიმედია
პროგრამები
როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით ისე გადარიცხვით
გარანტია 1 წელი
შპს კომპუსი
გარანტიის შემდგომი მომსახურება;
☎ 93-91-03
37-12-96
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №16 (სასტუმრო „აფხაზეთის" პირდაპირ)
11 სართული, ოთახები 1104, 1105

კულტურის ცენტრი „ყაზბეგი"
გიწვევთ
ევროპის ჩემპიონატის მატჩების დიდ ეკრანზე სანახავად!
მისამართი:
აბაშიძის № 26
(ყოფილი ბარნოვის № 128)
ტელ.: 294904

იყიდება

თეთრი, გამჭირვალე
ორგანული მინა
75 X 75
ტელ.: 95 22 56 (საღამოს)



ატლანტაში „ქართული სახლი" ჯერ არ გახსნილა, თუმცა სტუმრები უკვე მიიღო

## ოჰ, ეს მაცდური ოქროების ელვარება

ცნობილია, რომ ჩვენს სპორტსმენებს, რომლებიც ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე გაიმარჯვებენ, პრემიად 50-50 ათასი დოლარი გადაეცემათ. ახლა ისიც შევიტყვეთ, რომ საქართველო — ამერიკის ერთობლივი ბანკის „აბსოლუტბანკის" წარმომადგენელი ჩვენს ჩემპიონებს დაასაჩუქრებს მემორიალური ოქროს მონეტებითაც, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისა და ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავის ალსანიშნავად მოიჭრა.

ამ 22-კარატიანი და 17-გრამიანი მონეტის ნომინალური ღირებულება 500 ლარია, თუმცა რეალური ფასი, როგორც ნუმიზმატიკოსები ამბობენ, გაცილებით მეტი გახლავთ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩემპიონებს, უწინარეს ყოვლისა ოქროს მედლებიც ელით, მაშინ ნათელი გახდება, როგორი სტიმული ექნებათ ჩვენს ფავორიტებს გამარჯვების მისაღწევად.

## ატლანტაში — მსაჯის სამოსელით

ქართველ ოლიმპიელებს კიდევ ერთი შეემატათ — საქართველოს სპორტული ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ომარ ღონლაძე. იგი ატლანტაში თავის სახეობაში მსაჯად მოგვევლინება, რისთვისაც აკრედიტაცია უკვე მიიღო.

ეს იქნება პირველი შემთხვევა, როცა ქართველი არბიტრი ოლიმპიურ თამაშებზე იმსაჯებს.

# ძალოსნები თევზაობენ, ძიუდოისტები კი ბურთაობენ

საქართველოს ძალოსანთა ნაკრების წევრებს, ატლანტის ოლიმპიური თამაშებისთვის რომ ემზადებიან, თევზაობა დაუწყიათ, ძიუდოისტთა გუნდი კი ფეხბურთს გაუტაცია. ჩვენებს ეს მეტამორფოზა იმიტომ კი არ განუცდიათ, რომ საოლიამპიადოდ უკვე სრულ საბრძოლო ფორმაში არიან, ატლანტაში გამგზავრებამდე დარჩენილ დღეებს ითვლიან და საქმე დალევიათ. უბრალოდ, თევზაობა ნერვების დაწყნარების უებარი საშუალებაა, თანაც ამ საქმეს დასვენების დღეს, კვირაობით მისდევენ, ძიუდოისტები კი ფეხბურთის თამაშით აქტიურადაც ისვენებენ და იგი საერთო ფიზიკური მომზადების საშუალებადაც გაუხდიათ.



**ძალოსნები** ფასანაურის ტურბაზაში არიან დაბინავებულნი. იქვე მშვენიერი სავარჯიშო დარბაზი მოუწყვიათ.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მთელ ხელმძღვანელობასთან ერთად რომ ჩავედით, ჩვენი ორივე ძალოსნის — ბიძინა მიქიაშვილისა და მუხრან გოგიას დანახვისთანავე სახტად დავრჩით. ორივეს თავები გადაუპარსია.

— ბიჭებმა თქვეს, ერთ მშვენიერ დღეს გულმა თუ გაგვიწია თბილისისაკენ, გადაპარსული თავები არ გაგვიშვებსო, — გვეუბნება საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი რამაზ გურგენიძე, იმავდროულად ახლა ნაკრების უფროსი მწვრთნელიც რომ არის. — თუმც აქ ისეთ პირობებში ვართ, ვარჯიშისა და დასვენების ისეთი იდეალური პირობები გვაქვს, რომ წასვლა აღარავის გვინდა. ეგ კი არა, ფასანაურის მერე შეკრება სხვაგან უნდა გაგვეგრძელებინა, მაგრამ ასეთ პირობებს საქართველოში ველარ ვნახავთ.

იმდენს ვარჯიშობენ ბიჭები, ისეთი მონდომებით ემზადებიან, რომ დარბაზიდან საცხოვრებელ ნომრებში ძლივს ამოდიანო, გვითხრეს მათმა პირადმა მწვრთნელებმა ავთანდილ გახოკიძემ და გელა სითათაშვილმა.

ჩვენი ბიჭები ვარჯიშებზე ახლა ისეთ შედეგებს ალწევენ, რომ ატლანტაში პირადი რეკორდები უნდა დაამყარონ და მედლებიც მოიპოვონ.



მანამდე ისინი ყოველ მეორე დღეს ორჯერ ვარჯიშობენ, დღეგამოშვებით კი — ერთხელ. კვირაობით ტყიან მთა-გორაკებზე დადიან და თევზაობენ კიდეც.

ისე, სხვათა შორის, გამომშვიდობებისას თავიანთი დაჭერილი კალმახებიც გაგვასინჯეს და რომ გაიგეს, ბაზალეთის ტბის პირას დაბანაკებულ ძიუდოისტებთანაც ვაპირებდით სტუმრობას, მათთან მოკითხვა დაგვაბარეს.

თავის მხრივ, ძიუდოისტებიც დაინტერესდნენ ჩვენი ძალოსნების ამბებით, თუმცა უმალ არ უკითხავთ.

ეგ კი არა, მოსასალმებლადაც არ ეცალათ — ჩვენი მისვლისთანავე ტყიდან ლაწა-ლუწით გამოვარდნენ, იმდღევანდელი კროსი კალათბურთის მოედანზე დაასრულეს, მერე თითქოს მოსწრებაზე იყო საქმე, უმალ გაიყვნენ და ფეხბურთი გააჩალეს. ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონი, ქუთაისელი დავით ხახალეიშვილი რომ ბრწყინვალე ძიუდოისტია, ეს ქვეყანამ იცის, მაგრამ მძიმეწონოსანი გოლი-



ათი თუ ასე კარგად თამაშობდა ფეხბურთს, ვერ ვიფიქრებდით — დაცვაში ბურჯივით იდგა და იქიდან თანაგუნდელებს ხელმძღვანელობდა, დროდადრო ტანკივით მეტოქის კარისკენ დინჯად დაიძვრებოდა და ისე მოულოდნელად ურტყამდა ბურთს „ცხრიანში", რომ ყველას სახტად გვტოვებდა.

მობურთალთა შორის მხოლოდ ერთი ვერ ვნახეთ — ევროპის ჩემპიონი, გორელი გიორგი ვაზაგაშვილი. იგი თურმე ისევ თავისას არის და შინ დამოუკიდებლად ემზადება, თუმცა საკონტროლო შეხვედრებზე თანაგუნდელებს უერთდება.

ფეხბურთი არც ევროპის ჩემპიონ ვლადიმერ დხებუაძეს უთამაშია — ხელი რალაც ჭირად დაშავებია, თუმცა სერიოზული არაფერია, დანარჩენებს ფრჩხილიც არ წამოტკივებიათ.



ფასანაურში მხოლოდ ნაკრების პირველი ნომრები როდი მიუწვევიათ. იქ სხვებიც არიან, სულ 16 კაცი, რათა ერთმანეთს სპარინგ-პარტნიორობა გაუწიონ.

ძიუდოისტებმა ფასანაურში შეკრება საკონტროლო შეხვედრებით გაასრულეს და გუშინ თბილისში დაბრუნდნენ, დასკვნით შეკრებას ბორჯომში გამართავენ, მერე კი ატლანტაა.

ატლანტაში ჩვენი ნაკრები სრული გუნდით იქნება წარმოდგენილი. მთლიანი გუნდი ათ ქვეყანასაც კი არ ეყოლება. რაკი ბევრნი ვართ, ბევრიც მოგვეთხოვებაო, გვითხრა საქართველოს ძიუდოს ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ანზორ მარტყოფლიშვილმა.

მართლაც, ძიუდოისტებისაგან ყველაზე მეტს ველით.

**ავთანდილ ბურასაშვილი**





1. ბიძინა მიქიაშვილი
2. მუხრან გოგია
3. დავით ხახალეიშვილი
4. ბიჭები თან ისვენებენ და თან ფიზიკურადაც იწრთობიან

ავტორის ფოტოები

## რუსული, ზეპური ქრონიკა

**ამერიკელები**, რომლებიც ძალიან დიდხანს ითვლებოდნენ აუცილებელ ფავორიტებად ცურვაში, სერიოზულად არიან შეშფოთებულნი რუსი მოცურავეების ალექსადრ პოპოვისა და დენის პანკრატოვის წარმატებებით. ისინი ხომ „ტრადიციულად ცურვის ამერიკულ სახეობებში 100 და 200 მეტრზე კროლით და ბატერფლაის სტილით ცურვაში ლიდერობენ. გავრცელდა ხმა, რომ ამერიკელები მილიონ დოლარს პპირდებიან იმ მოცურავეს (რასაკვირველია, ამერიკელს), ვინც ოლიმპიადაზე პოპოვს დაამარცხებს. რაც შეეხება პანკრატოვს, მის მეტოქეს არც კი ეძებენ, თუმცა აქაც ყველა შანსს იყენებენ მიზნის მისაღწევად. საქმე ისაა, რომ 100 და 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით მსოფლიო რეკორდსმენი დენის პანკრატოვი განსაკუთრებულ უპირატესობას ალწევს სტარტზე, როდესაც ჩაყვინთულ მდგომარეობაში ხელებისა და ფეხების ძლიერი მოძრაობით საკმაო მანძილზე იტოვებს მეტოქეებს. ამერიკელების შეგონებით ცურვის საერთაშორისო ფედერაცია ითხოვს ოლიმპიადაზე განისაზღვროს დისტანციის ის მონაკვეთი, რომლის გაცურვაც შეუძლია მოცურავეს სტარტზე. თუმცა დენისს ეს სულაც არ აშინებს და ოლიმპიადაზე საკუთარი მსოფლიო რეკორდების გაუმჯობესებაზე ოცნებობს.

**ცნობილი** რუსი ჰოკეისტი ძმებიდან უმცროსს — 20 წლის ვალერი ბურეს, „მონრეალ კანადიენსში" რომ თამაშობს, 22 ივნისს ლოს-ანჯელესში ქორწილი აქვს. მისი რჩეულია ჰოლივუდის ახალგაზრდა კინომსახიობი ქენდი კამერონი. ქორწილში კანადაში მოთამაშე რუს ჰოკეისტთა მთელი ამქარია დაპატიჟებული.

**კოტე მგალობლიშვილი**

## ჩოგბურთი

ინგლისელები ცოტა უცნაური ხალხია. ჰოდა, მაგ ერის ჩოგბურთის მამები არც [illegible] [illegible] ... თვალის [illegible] რეიტინგს და უიმბლდონისათვის ისე განთესენ მონაწილეებს, როგორც [illegible].

# მუსტერი გააგულისეს



**ავსტრიელი** თომას მუსტერი თიხაზე თამაშის მხეცია, მაგრამ წელს კრიტიკა შეისმინა და ბალახზე სერიოზულად თამაშს მოჰკიდა ხელი. წლევანდელი უიმბლდონისთვისაც (24 ივნისი — 7 ივლისი) სერიოზულად ემზადება და უსათუოდ ითამაშებს, თუკი საზარდულმა არ შეაწუხა.

წინა კვირაში თომასმა ითამაშა ლონდონის „ქვინზ კლაბის" ბალახზე და ნახევარფინალსაც მიაღწია, ამ კვირაში კი გერმანიაში, ქალაქ ჰალეში ასპარეზობს. იქ, პირველ წრეში ესპანელ თომას კარბონელს 7:6, 6:2 რომ მოუგო, შეიტყო, რომ იგი, მსოფლიოს მეორე მოთამაშე, ინგლისელებს მე-7 ნომრად განეთესათ.

მუსტერი გაბრაზდა, მაგრამ მერე განთესვას ინგლისური ხუმრობა უწოდა, მისმა მენეჯერ-მწვრთნელმა რონი ლაითგებმა კი ბრიტებზე თქვა, არაფრად ულირთ ჩემი შეგირდის მონაწილეობაო.

ჰალეშივე თამაშობს საფრანგეთის ჩემპიონი, რუსი ევგენი კაფელნიკოვი. მან 6:7, 6:4, 6:4 მოუგო შვედ მიქაელ ტილსტრომს, ვეინ ფერერამ (სამხრეთი აფრიკა) კი პირველივე თამაში წააგო: იგი დაამარცხა ამერიკელმა რიჩი რენებერგმა, ვინაც წინა კვირაში როზმალენის (ჰოლანდია) ტურნირის ფინალში 6:4, 6:0 აჯობა ფრანგ სტეფან სიმიანს.

## უიმბლდონის განთესვა

თუ ყველაფერი წესითა და რიგით წარიმართა, ვაჟთა მერვედფინალში ერთმანეთს უნდა შეხვდნენ:

პიტ სამპრასი (აშშ, 1) — სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი, 16), მიხაელ შტიხი (გერმანია, 10) — თომას მუსტერი (ავსტრია, 7); გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, 4) — მარკ როსე (შვეიცარია, 14), სტეფან ედბერგი (შვედეთი, 12) — მაიქლ ჩანგი (აშშ, 6)

ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი, 5) — ვეინ ფერერა (სამხრეთი აფრიკა, 11), თოდ მარტინი (აშშ, 13) — ანდრე აგასი (აშშ, 3); ჯიმ კურიე (აშშ, 8) — თომას ენკვისტი (შვედეთი, 9), არნო ბეჩი (საფრანგეთი, 15) — ბორის ბეკერი (გერმანია, 2)

**ქალთა განთესვა ხვალ!**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის ყოველდღე, კვირის გარდა. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ ბიბინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29